

**შპს „თითი ედვაიზორი_“
ფინანსური ანგარიშგება**

2024 წლის 1 ოქტომბერი - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე

შპს „თითი ედვაიზორი“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	7

შპს „თითი ედგაიზორი“
ს/კ 405608846

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თარიღი: 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024
აქტივები		
ძირითადი საშუალებები		6158
სულ გრძელვადიანი აქტივები		6158
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	988,576
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	8	353,690
სხვა აქტივები		22,016
სულ მიმდინარე აქტივები		1,364,282
სულ აქტივები		1,370,440
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		184,000
გაუნაწილებელი მოგება		1,021,781
სულ საკუთარი კაპიტალი	9	1,205,781
ვალდებულებები		
გადასახდელი ხელფასები		0
სხვა ვალდებულებები		12,854
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		151,805
სულ მიმდინარე ვალდებულებები		164,659
სულ ვალდებულებები		164,659
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,370,440

2024 წლის 01 ოქტომბერი-31 დეკემბერი პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025
წლის 14 თებერვალი შემდეგი პირის მიერ:
დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თითი ედვაიზორი“
ს/კ 405608846

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თარიღი: 2024 წლის 1 ოქტომბერი 31 დეკემბერი პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

შენიშვნა	2024 წლის 1 ოქტომბერი 31 დეკემბერი
ამონაგები	839,132
სულ საოპერაციო ამონაგები	839,132
დასაქმებულთა გასამრჯელოები	(342,384)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(76,197)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები	(21,378)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(104)
იჯარის ხარჯი	(10,240)
მივლინების ხარჯები	
სხვა ხარჯები	(13,151)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	375,678
საპროცენტო შემოსავალი	310
წმინდა მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(2923)
პერიოდის მოგება	373,065
სხვა სრული შემოსავალი	-
პერიოდის მოგება და სხვა სრული შემოსავალი	373,065

2024 წლის 01 ოქტომბერი-31 დეკემბერი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 14 თებერვალი შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თითი ედვაიზორი“
ს/კ 405608846

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
თარიღი: 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით	458,452	648,716	1,107,168
წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი			
2024 წლის მეოთხე კვარტლის მოგება	-	373,065	373,065
ოპერაციები კომპანიის მფლობელთან			
საწესდებო კაპიტალის შემცირება	274,452	-	274,452
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	184,000	1,021,781	1,205,781

2024 წლის 01 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის პერიოდის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 14
თებერვალს შემდეგი პირის მიერ :
დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თითი ედგაიზორი“

ს/კ 405608846

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

თარიღი: 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის პერიოდისთვის

(ეროვნულ ვალუტაში)


ფულადი ნაკადების უწყისი	31 დეკემბერი 2024
შემოსავალი	
	<u>792,779</u>
საოპერაციო შემოსავალი	<u>789,940</u>
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	310
ხაზინიდან დაბრუნება	<u>2,529</u>
კაპიტალის შენატანი	
გასავალი	(865,908)
საბანკო საკომისიო	(664)
გადასახადების ერთიანი კოდის(ხაზინა) ხარჯი	(189,380)
სოციალური გადასახადის ხარჯი	(4145)
ხელფასების ხარჯი	(272,320)
მივლინების ხარჯი	(3350)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(19517)
საკონსულტაციო მომსახურება	(1180)
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	(2124.00)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(43673)
პლატფორმის მომსახურების ხარჯი	(22929)
სხვა საერთო ხარჯი	(21721)
იჯარა	(8232)
სადეპოზიტო თანხა	<u>150000</u>
კონვერტაციის გავლენა	2221

ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	<u>426,819</u>
ფულადი სახსრები პერიოდის განმავლობაში	<u>(73,129)</u>
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	<u>353.690</u>

2024 წლის 01 ოქტომბერი-31 დეკემბრის პერიოდის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 14 თებერვალს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი :

ლილია ელბაქიძე



7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს თითი ედვოიზორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის პერიოდზე

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს თითი ედვოიზორი (შემდგომში – კომპანია) (ს/კ 405608846) დაფუძნდა 2023 წლის 29 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, გამზირი ი.ჭავჭავაძე N 49ბ, ნიშნული -5.10

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიან ქაღალდებთან და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება.

დაარსების დღიდან (29.03.2023) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100 %-ის მფლობელია კონსტანტინე ოსიპოვი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობაზე :

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის გამოყენების თარიღი არის 2023 წლის 29 მარტი . კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის და მეოთხე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2024 წლის 1 ოქტომბრის დასაწყისისთვის და 31 დეკემბრის დასასრულისთვის, აღნიშნული პერიოდის სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო :

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა უნარი გააგრძელოს საქმიანობა ,როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დააკმაყოფილა იმით ,რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად .ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ,რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით .

საოპერაციო გარემო :

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. საქართველოს განვითარებად ბაზარს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა,როგორც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ.საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს,რომლებიც,ჩვეულებრივ არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე,მათ შორის რისკს,რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ,არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები,ხოლო სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს მომსახურების საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ მომსახურების ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

შენიშვნა N6_ ამონაგები

მოცემულ საოპერაციო პერიოდში შპს თითო ედვაიზორის საოპერაციო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სს საქართველოს ბანკთან, სს თიბისი ბანკთან, Interactive Brokers და Smartgen -თან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა .

ამონაგები	6	839,132
სულ საოპერაციო ამონაგები		<u>839,132</u>

საიდანაც ,

- სს საქართველოს ბანკი 202,869.00 ლარი
- სს თიბისი ბანკი 600,585.00 ლარი
- Interactive Brokers 26,790.00 ლარი
- Smartgen 8889.00 ლარი

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მომსახურების მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

	31.12.2024
კურსთაშორისი სხვაობა	5360
არასაოპერაციო შემოსავალი (საპროცენტო შემოსავალი)	310
სულ	<u>5,670.00</u>

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

შენიშვნა N8_ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აშშ დოლარში	197,087.00
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ევროში	0
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ლარი	6,395.00
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში შვეიცარული ფრანკი	206.00
სულ	203,690.00

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს წამყვან კომერციულ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის დაირიცხა და მიღებულ იქნა ფულადი ფორმით საპროცენტო შემოსავალი 310 ლარის ოდენობით.

შენიშვნა N7_სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება სამართლიან ბუღალტრულ იყო

მიახლოებული მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო. პერიოდის ბოლოს კომერციულ ბანკთან -სს საქართველოს ბანკი გაფორმებული 2023 წლის 18 მაისის ხელშეკრულების თანახმად მისაღები სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს 239,385.00 ლარს .სს თიბისი ბანკთან გაფორმებული 2023 წლის 6 დეკემბრის ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების მისაღები თანხა შეადგენს 708,690.00 ლარს . ასევე სავაჭრო მოთხოვნა ფიქსირდება Smartgen-თან 3167 usd (8889 ლარი) ოდენობით და Interactivebrokers-თან 11262,64 usd (31,611.98 ლარი)

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დასაქმებულთა გასამრჯელოები	(272,320.00)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(43,673.00)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები	(25,221.00)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(104.00)
იჯარის ხარჯი	(10,240.00)
მივლინების ხარჯები	()
სხვა ხარჯები	(13,151.00)
საოპერაციო ხარჯები	364,709.00

კაპიტალი

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 2024 წლის, 31 დეკემბრის შემდეგ, პარტნიორის გადაწყვეტილებით კაპიტალის გაზრდა/ შემცირება არ მომხდარა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2025 წლის 14 თებერვალს .

დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

